

1936

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

# პიტივერი



1936 წ.

№5

# „პიონერი“

საბ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და  
 საბ. განსახორციელების ერთობი-  
 ური ჟურნალი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შერთდით!

№ 5  
 მაისი-1936  
 წელიწადი მ-11  
 საბ. კ. პ. (ზ) ც. კ-ის ბაზოვადელოზა  
 „კომუნისტი“  
 რედაქციის მისამართი: გრიბოედოს ქ. № 34  
 ტელ. № 3-02 61

## შ ი ნ ბ ა რ ს ი

1. სამაისო აღლუმი (ლექსი) — მ. მიქელაძის . . . . .	1
2. დაუვიწყარი წუთები — (დელეგატის / დილორიდან) . . . . .	2
3. გაზაფხულის დილა (ლექსი) — გრ. აბაშიძის . . . . .	4
4. ვლ. მიკოვსკი — დ. ბენაშვილის . . . . .	4
5. სამაისო სიმღერა (ლექსი) — ვლ. მაიაკოვსკის, თარგმ. გრ. არ- ხიასი . . . . .	6
6. ფრიადოსნები . . . . .	6
7. ჩირაღდნებით — შერი აღამიასი . . . . .	8
8. კოკლესი — თარგმ. ფრანგულიდან ს. ბედუქიძის მიერ . . . . .	9
9. იქ, სადაც მეფობს კაპიტალი — შ. გვინჩიძის . . . . .	10
10. მეთხავი (ზღაპარი), ჩაწერილი იასონ ნიკოლაიშვილის მიერ . . . . .	12
11. როგორ წარმოიშვა უდაბნო ყარაყუმი . . . . .	14
12. გაზაფხული შთაში (ლექსი) — გ. კალანდაძის . . . . .	15
13. ბავშვების საყვარელი თეატრი — შ. ქურდიანის . . . . .	15
14. პირველი მისი (ლექსი) — აფრასიონ ლობჯანიძის . . . . .	გარეკანის 3
15. მოხვეური ლექსები . . . . .	გარეკანის 3
16. ორი პაწაწინა წიგნი . . . . .	გარეკანის 4

გარეკანზე — პიონერ ხელმძღვანელი — ნახ. ი. ქოქიაშვილის  
 ჟურნალი გაფორმებულია მხ. ს. ქოქიაშვილის და მ. თარიშვილის მიერ.

პ/მგ. რედაქტორი: მ. თომბაძე

პ/მგ. მღივანი: ილ. აბლაძე

# საგაიხრო ქოჩუკი

მ. მიქელაძე

მ. ს. ქვიციანი

35  
31

ჰე, გამოდით, შეგვიერთეთ  
სიხარულის ძალა!  
მოგუგუნე სიმღერები  
ფინება ქალაქს.  
მზე მოსულა!  
ჩვენც მივდივართ  
მტკიცე გულებით, —  
ახალგაზრდულ სიხარულის  
მოტიქულები.  
გრილია, გრილია,  
გუგუნია მძლავრი.  
მზე დახურავს მშფოთავ ქუჩებს  
ოქროსფერი ყავრით,  
და ამ მზის ქვეშ ნერგებივით  
ვდგავართ ტანაყრილი...  
სამაისო ცისფერ დილას  
სიო ურბენს გრილი.



აგუგუნდეს დაფდაფები  
და მუსიკამ ჭეჭოს!  
მოსახვევში გავაჩაღებთ  
აღმოდებულ ლეკურს.  
ჰე, გაფრინდით, სიმღერებო,  
ფრთა მოისხით მალი,  
ბიუტანეთ ეს მადლობა  
ჩვენს საყვარელ სტალინს!  
დობა ჭეჭოს და დროშები  
გაიშალოს ქარში,  
ჩვენ მივდივართ სამაისო  
სიხარულის მხრშით.  
სიმღერების გრილია  
და მზე უკვე მადლობს,  
მზემ სხივები შეაღია  
სამაისო აღლუმს!



საკავშირო ა. ლ. კ. კ. ცეკას მდივანი აზხ. ალ. კოსტარევი

## რაუზიწყარი ნუთები

(დელეგატის დღიურიდან)

ჩვენი მატარებელი თანდათან უახლოვდებოდა მოსკოვს. ვაგონში არაჩვეულებრივი მზიარულებაა.

აი ჩვენი მატარებელი შეიჭრა კურსკის სადგურში. ეს უკანასკნელი სადგურია. აქ ჩვენ შეგვხვდნენ მოსკოველი აზხანაგები და გაგვაცილეს საბჭოების მე-3 სახლამდე, სადაც საერთოდ დელეგატები იყრიდნენ თავს მანდატებისა და სხვა მასალების მისაღებად.

დელეგატები ამიერკავკასიიდან სისტუმრო "გერობაში" დაგვაბინავენ (წითელი მოედნი ახლოს).

\* \*

11 აპრილს, დილას დელეგაციის ხელმძღვანელმა ამოგვიცხადა, ყრილობა გაიხსნება საღამოს სრულსა და საათზე.

ჩვენ ყველანი მოუთმენლად ველოდით ამ დროს. 5 საათი სრულდებოდა ბოროციციისა და სპასკის

კარებიდან დელეგატები ჩქარი ნაბიჯით მივემართებოდით კრემლის დიდი დარბაზისაკენ. სანამ დიდ დარბაზში შევიდოდით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო იქვე აცირე დარბაზში, მე-15 ყრილობის სახელობის პიონერთა საჩუქრების გამოფენამ. აქ ჩვენ ვნახეთ საბჭოეთის ქვეყნის ბედნიერი ბავშვების მიერ გაკეთებული შესანიშნავი საჩუქრები.

აქვე ვნახეთ აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის პიონერების მიერ დამზადებული საჩუქრები. ყველას, ყველას ყურადღებას იპყრობს საუცხოოდ მოწყობილი გამოფენა.

\* \*

ექვსის ნახევარია. უზარმაზარი დარბაზი სავსეა ჩვენი საყვარელი სამშობლოს ბედნიერი ახალგაზრდობის წარმომადგენლებით.



დელეგატები ვსაუბრობდით წინასწარ გამოკვეყნებულ ყრილობის მასალებზე, ლენინური კომკავშირის ახალ პროგრამასა და წესდებაზე, სკოლაში კომკავშირის მუშაობის შესახებ და სხვ.

საათის ისარი 6 უჩვენებს. პრეზიდიუმის მაგიდას მიუახლოვდნენ ამხანაგი სტალინი, ამხ. მოლოტოვი, კავანოვიჩი, კალინინი, გოროხოვილოვი, ანდრეევი, ჩუბაროვი, ჟდანოვი, კოსარევი.

დარბაზში გრიალებს მქუხარე ტაში. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საყვარელ ბელადს სტალინს!“, „გაუმარჯოს მოლოტოვს!“.

„ვაშა კალინინს!“  
ბეჭრა ჩვენთაგანმა პირველად ნახა ეს საყვარელი აღმანიები. არაგის, არაგის არ უნდოდა ერთი წუთითაც მოეშორებია თვალი სტალინისათვის. ხუთი ათასი ახალგაზრდა ვაჟისა და გოგონას თვალი უქუქვრდა სტალინს და ტკბებოდა ამ ბედნიერი შეხვედრით.

პატარა მეგობრებო! ძალიან ძნელია კალმით აღწერო ცხოვრებაში ყველაზე ძლიერი სიხარულის დაუფიქარი წუთები, რომელიც მე და ჩემმა ამხანაგებმა განვიცადეთ მაშინ, როცა დაეინახეთ ჩვენთვის საყვარელი სტალინი.

პირველ სხდომაზე საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ალ. კოსარევი. მან თავის შესანიშნავ მოხსენებაში ფართოდ გააშუქა ლენინური კომკავშირის შემდგომი მუშაობის ამოცანები.

ჩვენ ყურადღებით ვუსმენდით მას. მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ დელეგატები. ამირკავკასიიდან სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. გ. გიორგობიანი, აკ. მგელაძე უსეინოვი, შახბადიანი და სხვები.

შემდეგ მოვესმინეთ მოხსენებები: ამხ. ჩემოდანოვის (ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალში ლენინური კომკავშირის დელეგაციის მუშაობაზე); ამხ. ფინბერგის (ახალ პროგრამაზე); ამხ. ვერშკოვის (ახალ წესდებაზე); ამხ. მუსკინის (კომკავშირის მუშაობაზე სკოლაში).

ამხ. მუსკინმა ილაპარაკა სკოლებში კომკავშირის მუშაობის შესახებ. მან თქვა, რომ სკოლებში კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციები ცუდად მუშაობენ არადაამკაცოფილებლად არის დაკენებული ბავშვთა აღზრდისა და სწავლების საქმე.

ყრილობამ იმსჯელა, თუ როგორ მოეწყოს უკეთ ახალგაზრდობისა და ბავშვთა განათლება, სწავლა და აღზრდა.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდნენ პ. (ბ) ცუკას მდივანი ამხ. ა. ა. ანდრეევი, თხრა, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ მომავალში. როგორ უნდა მოვაწყოთ კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციების მუშაობა სკოლაში.

21 აპრილს საღამოს სხდომაზე თავმჯდომარემ გამოვიცხადა, ყრილობის უკანასკნელი სხდომა შედგება ხვალ, ე. ი. 21 აპრილს, საღამოს 6 საათზეო.

დაინშნულ დროს შევიკრიბენით. დარბაზში შემოვიდნენ ამხ. სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, კავანოვიჩი, გოროხოვილოვი, ანდრეევი, კოსარევი.

ბეჭა მქუხარე ტაშმა, გაემართეთ ძლიერი ოვაციები სტალინისა და მისი თანამებრძოლების პატივსაცემად.

უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცეს ლენინური კომკავშირის ახალი პროგრამა და წესდება და მიიღეს დადგენილება სკოლაში კომკავშირის მუშაობის შესახებ. ამის შემდეგ აირჩიეს ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური სარევიზო კომისია.

არჩენები დამთავრდა. ყრილობის მუშაობა დასასრულს უახლოვდება. დარბაზში სიჩუქა.

საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელმა ხელმძღვანელმა ამხ. ალ. კოსარევმა დაიწყო სიტყვა.

ამხანაგმა კოსარევმა ყრილობისა და მთელი ლენინური კომკავშირის სახელით პირობა მსცა ამხანაგ სტალინს და პარტიას, რომ კომკავშირი პრაქტიკულად განახორციელებს პარტიისა და ამხ. სტალინის ყველა მითითებას.

ამხ. კოსარევი ამთავრებს თავის სიტყვას. დარბაზში ქუხს მძლავრი ტაში.

ყველა დელეგატი ფეხზე ვიდევით და მხურვალე ოვაციებს ვუმართავდით ამხანაგ სტალინს. ძალიან დიხანს, დიხანს გრძელდებოდა ოვაცია.

პროექტორის სხივები დღესათვის ანათებდნენ უზარმაზარ დარბაზს.

პრეზიდიუმის მაგიდასთან იდგნენ ამხ. სტალინი და პოლიტბიუროს წევრები. ისინი იღიმებოდნენ და ჩვენს მქუხარე ტაშს ტაშით უპასუხებდნენ.

ასე გრძელდებოდა დიხანსი.

ჩვენს მძლავრ მქუხარე ტაშზე დიდი სტალინი მოკლიძარი სახით, ხელის მალა აწევით მოგვესალმა და დაიძახა: — „გაუმარჯოს საბჭოთა ახალგაზრდობას!“

დადხანს, დიხანს გაისმოდა ტაშის გრიალი. ყრილობა დაიხურა.





## გაზაფხულის დღე.


ბრ. აბაშიძე

როგორც ზურმუხტის ღილი,  
კვირტები ჰქონდა გუშინ,  
და დღეს პირველად დილით  
თეთრად აყვავდა ნუში.  
გამოედვიდა მზიას,  
საჩქმელს შეხედა ოდნავ  
და გაუკვირდა ძლიერ:  
შუა აპრილში თოვლა?

ზეზე წამოხტა მარდაღ,  
კარში გავარდა უცებ,  
თურმე ნუშები ყრიდნენ  
თეთრი ყვავილის ფურცლებს  
თოვლი ვგონა ისევ  
გამოუჩქვეველს წოლით,  
ფარავდა გზებს და მინდვრებს  
თეთრი ტყემლების თოვლი.

## ვლადიმერ მაიაკოვსკი

მ. ბენაშვილი



ახალგაზრდა მაიაკოვსკი

1894წელს, 7 ივლისს, საქართველოს ერთერთ პროვინციულ სოფელ ბაღდაღში (ჭუთაისის მაზრაში) დაიბადა ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაიაკოვსკი.

მაიაკოვსკი თავისი ბავშვობა სოფელ ბაღდაღში გაატარა, სადაც მამამისი სატყეოს უფროსად იყო. ბავშვობისას მაიაკოვსკი ძლიერ მზიარული და ამბინაგების მოყვარული იყო. პატარა მეგობრებთან ერთად ფეხშიშველი დარბოდა მახლობელ ტყეებში. გართობასთან ერთად პატარა ვლადიმერს თავდავიწყებამდე უყვარდა შრომა. ზეპირად სწავლობდა ლექსებს, ზღაპრებს და ხალხურ თქმულებებს. სკოლის ასაკამდე შეისწავლა რუსული ანბანი. მშობლებმა მაიაკოვსკი ჭუთაისის გიმნაზიაში მიიბარეს. ამის შემდეგ პატარა ვლადიმერის ცხოვრებაში იწყება სერიოზული პერიოდი; ჯერ კიდევ ბავშვი ნათლად ხედავდა, რომ ქვეყანაზე არსებობენ მდიდრები და ღარიბები, რომ ერთი შრომობს და მინც ღარიბია, მეორე მუქთახორაა, მაგრამ მინც მდიდარია, ამ შეგნებამ თავისი დადი დასვა მაიაკოვსკის ცხოვრებას. 11-წლის ბავშვი 1905 წელს მოწაფეთა გაფიცვაში ღებულობს აქტიურ მონაწილეობას. უახლოვდება მარქსისტულ წრეებს.

1906 წელს გარდაიცვალა მაიაკოვსკის მამა, და ოჯახი დარჩა სრულიად უსახსროდ. მამის სიცილილის შემდეგ ვლადიმერ მაიაკოვსკის დედა საცხო-



ვრტლად გადადის მოსკოვში. ვლადიმერი მოსკო-  
ვში შედის მესუთე გიმნაზიის მეოთხე კლასში. იმა-  
ვე ხანებში მაიაკოვსკიმ სკადა ლექსების წერა, მა-  
გრამ ლექსების წერას მალე მიაჩნება თავი. რამდენი-  
მე ხნის შემდეგ მაიაკოვსკი შევიდა რუსეთის სოცი-  
ალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში (ბოლშევი-  
კების) და პროპაგანდისტად მუშაობდა ფეხსაცმე-  
ლების მკვრავ და სტამბის მუშებთან. მუშაობის  
დროს ორჯერ დააპატიპრეს. მეორედ დაპატიმრების  
შემდეგ 11 თვის იჯდა მოსკოვის ცნობილ ბუტარ-  
კის ციხეში. იქ მაიაკოვსკიმ დაიწყო უახლოესი  
დროის ბელეტრისტიკის შესწავლა.

პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ვლადი-  
მერ მაიაკოვსკი ჩამოსცილდა პარტიულ მუშაობას და  
გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება. პირველად ხელი  
მოკ და მხატვრობას; სწავლობდა ჟუჟოვისთან,  
შემდეგ კელინთან. რამდენიმე ხნის შემდეგ გადადის  
მხატვრობის, ქანდაკების და ხელოვნობის დარგების  
სკოლაში.

ამ სკოლაში მაიაკოვსკიმ გაიცნო დავით ბურლი-  
უკი. მათი ამხანაგობა ძლიერ მეგობრული იყო.  
ვლადიმერ მაიაკოვსკი დავით ბურლიუკს სთვლიდა  
თავის საუკეთესო მეგობრად და ნამდვილ მასწავლებ-  
ლად, რომელმაც იგი /ვლადიმერი/ „გახადა პოე-  
ტად“.

1912 წელს ბურლიუკთან, ხლებნიკოვთან, კრუჟო-  
ნინთან ერთად მაიაკოვსკიმ გამოუშვა რუსი ფუტუ-  
რისტების პირველი მანიფესტი „სილა საზოგადოებ-  
რივ გემოვნებას“.

მაიაკოვსკისა და ბურლიუკის მიერ გამართულ დის-  
პუტებს, მათ სიტყვებს შედეგად მოჰყვა ორივე-  
პოეტის სასწავლებლიდან გაძევება. შემდეგ მათ იმო-  
გზაურეს მთელ რუსეთში, გამოდიოდნენ საღამოებ-  
ზე და კითხვობდნენ ლექციებს ფუტურისტებზე.

1915 წელს მაიაკოვსკი ჯარში გაიწვიეს. მუშაობდა  
მხაზავად, რადგანაც არ უნდოდა ფრონტზე გასლა.  
პოეტი მონაწილეობას იღებდა თებერვლის რევო-  
ლუციის და რამდენიმე დღე მეთაურობდა ავტო-  
სკოლას. ოქტომბრის დიდ რევოლუციას თავიდანვე

თანაგრძობდა შეხედა. მუშაობდა სმოლენსკში 1919  
წელს მუშაობდა დეკემბათა სააგენტოში

სამოქალაქო ომის პერიოდში მაიაკოვსკი ერთ-  
ერთი ყველაზე უფრო პოპულარული პოეტი იყო წი-  
თელი გვარდიისა და არმიის მებრძოლთა შორის.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ მაიაკოვ-  
სკი თავისი ჯგუფით ლექსებით ჩაება გრანდიოზულ  
სოციალისტურ მშენებლობაში. მისი პოეტური ქმნი-  
ლებანი ძვირფას ზებრძოლს ჰმატებდა ძალასა და  
ენერჯიას დაწესებულ საქმის შესრულებაში. მაიაკოვ-  
სკის ლქსებს მღეროდნენ ყველგან — საბჭოთა ქვეყ-  
ნის უზმანბარი მიწის ყველა კუთხეში. ამ აზრით  
პოეტის ლექსები ყველაზე უფრო მასობრივი და  
სახალხო იყო.

ასეთი იყო ამ დიდი ადამიანის ცხოვრების გზა  
ამ გზაზე მაიაკოვსკიმ მოგვცა ბევრი ბრწყინვალე  
ნიმუში პოეტური გენიისა, მისი ლექსები „ღ რ უ ბ ე-  
ლი მ შ არ ვ ლ ი თ“, „მ თ ე ლ ი ხ მ ი თ“, „მ არ შ ი“  
საბჭოთა ქვეყნის პოეზიაში შევა, როგორც საუკე-  
თისო შედეგები.

მაიაკოვსკის დიდი პოეტური შემოქმედება ღირ-  
სეულად დაფასა საბჭოთა ხელისუფლებამ. მისი  
პოეტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ოცი  
წლის თავზე მას მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო  
პოეტის სახელწოდება.

მაიაკოვსკის უყვარდა ყველა საბჭოთა ადამიანი  
მაგრამ განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები. ის ძლიერ  
ბევრს ზრუნავდა ბავშვებისათვის, უწერდა მათ ლექ-  
სებს მათთვის საინტერესო თემაზე. თუ რა დიდი  
პასუხისმგებლობით უდგებოდა მაიაკოვსკი საბავშვო  
წიგნებზე მუშაობას, ამას ნათლად ამტკიცებს პოლო-  
ნეთის გაზეთი „ეპოში“ მოთავსებული საუბარი. რე-  
დაქტორის შეკითხვაზე: — „რაზე მუშაობთ თქვენ?“,  
მაიაკოვსკი უპასუხებს: ერთსადიამავე დროს მთელ  
რე საყითხ. ბზე, განაკუთრებული გატაცებით ვმუ-  
შაობ საბავშვო წიგნებზე... ჩემი მიზანია მთავაგონო  
ბავშვებს ზოგიერთი ელემენტალური საზოგადოე-  
ბრივი ცნობები, მაგრამ... მე მას ვაკეთებ ძლიერ  
ფრთხილად. ვთქვით, მოფუთარობ ბორბლებთან სა-



ლენინის რაიონის საბავშვო რკინისგზის მშენებლობის უფროსი ნელი ვოლსკი თავის მეგობრებთან



თამაშო ცხენზე. აი შე ვსარგებლობ შემთხვევით, რომ აუფხსნა, თუ რამდენი ადაიანი მუშაობდა, რომ გაეკეთებიათ ასეთი ცხენი. ამგვარად ბავშვი ღებულობს წარმოდგენას შრომის საზოგადოებრივი ხასიათის შე ახებ. ანდა ავწერ მოგზაურობას და ანთ ფაქობ ბავშვს არა მარტო გეოგრაფიას, არამედ ამასთან იმასაც, რომ ადამიანები ზოგი

მდიდარია და ზოგი ღარიბი.“

ასე ზრუნავდა მიაკოესკი ბავშვებისათვის და აი ექვსი წლის წინათ, თოთხმეტი წლის საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანმა ბავშვებმა მიაკოესკის სახით დაარგეს ერთგული მოამაგე, ხოლო საბჭოთა ქვეყნის პოეზიამ თავისი ერთი უდიდესი წარმომადგენელი.

## სამაისო სიმღერა

### ვლ. მანიაკოვსკი

მწვანით მოსილან მინდვრები, —  
ვერ ნახავთ ზამთარის ნარჩენს...  
მოვალთ

და  
ხალისით ვინთებით

თან მე,  
თან შენ  
და  
თან ჩვენ.

გაზაფხულმა გასაშრობად  
ხეებზე დაჰკიდა ფარჩები.  
ო, რა კარგია ბავშობა,  
რბენა და თამაში ბაღჩებში!

გახედეთ გადაშლილ სივრცეს, —  
რა კარგი ამინდია...  
გვაქვს ნაბიჯი მტკიცე,  
მივდივართ!

მივდივართ!  
მივდივართ!

ხვევრდად. მოჩანს ბაღები,  
ჩვენ აღარ გვჩვევია დაღლა.  
წითელი ბაიარაღები  
მოგვაქვს

სულ  
მალლა  
და  
მალლა!

ქუჩები მხიარულია,  
ეთქვათ გაზაფხულის ზედაშე.  
მოვალთ რგოლებთან გულდიად  
ისიხი,  
სხვები

და  
მე და შენ.

თარგმნა მრ. არმსნიამ.

# შრომის სიმღერა

რედაქციის კარები ფრთხილად შემოაღო, წითელი ყელსახვევი შეისწორა, წერილი ჯიბიდან აოილო და გაბედულად თქვა:

— მე ტფილისის მე-14 სკოლის ფრიაღოსანი ვარ, პიონერთა რაზმის ხელმძღვანელმა გამომგზავნა!

„ლეო გაბუნია, — წერდა რაზმის ხელმძღვანელი, — ჩვენი სკოლის აქტიური პიონერია, ლიტერატურის დიდი მკვარული და ქადრაკის კარგი მკოდენ“.

— კარგი... ძალიან გიყვარს ლიტერატურა?! — შევეითხენენ მას რედაქციის თანამშრომლები.

— დიახ, ძალიან. არა მარტო ქართული ლიტერატურა, არამედ უცხოეთისაც. ფრანგულ ენას ვსწავლობ, რამდენიმე თხზულება უკვე წავიკითხე ფრანგულ ენაზე... ჩემი საყვარელი მწერლებია: მოლიერი, ჰიუგო, ეიულ ვერნი, ლაფონტენი და სხვა...

— კარგი, ძლიერ კარგი, დასტოვეთ წერილი!



— ნახემდის... — ჩემად ჩაილაპარაკა მან და ფრთხილად გახურა კარი.

მარტო ლეო როდია ფრიადოსანი და წარჩინებული პიონერი. სავაზაფხულო არდადეგების წინ ნიშნები რომ შეაჯამეს, სიხარულით აივსო პიონერთა გულდები...

აი, ბიონერი გოგონა მეგი დათეშიძე, მესამე საცდელი სკოლის ფრიადოსანი, მორცხვად რომ იღიმება და თავისი ყელსახვევისფრად რომ წითლდება.

— გერმანულ და ფრანგულ ენებს ვსწავლობ... — ამბობს ის, — ძლიერ მიყვარს თეატრი, მიტაკებს მუსიკა, ჩემი საყვარელი კომპოზიტორები არიან შოპენი და მოცარტი... კომკავშირის მეთაურ ყრილობისათვის დავამზადე ნაქარგი „პიონერთა ბანაკი“. მშვენიერიაო, — მიწონებენ ამხანაგები...

...ესეც პიონერი დავით ლონდაძე, იმავე სკოლის ფრიადოსანი, ქვეინი თვალებით, მუდამ მოუსვენარი ბიჭუნა, ასე გატაცებით რომ ლაპარაკობს ჰადრაკის შესახებ. ერთდროულ სივანსში ოცდაათ პიონერთან თამაშის დროს ამიერი-კავისის ჩემპიონს ვიქტორ გოგლიძეს ერთადერთმა მოუგო და ქება დამისახურა. გაზეთებში დახატეს მამინ, ახლა კი სამი ახალი საჭადრაკო ამოცანა დააწადა და ათ პიონერს ასწავლა ჰადრაკი...

— მე ძლიერ გამაზარა პიონერ ეთერი გვანცლაძეს გამოსვლამ კრემლში...



ლეო გაბუნია

ამბობს ამავე სკოლის ფრიადოსანი გოგონა ნინა პაპიაშვილი.

— ვეცდები ეთერის მიცემული სიტყვა საყვარელ ბელადისადმი ღირსეულად შევასრულო: ჩემი დედოკოც, სოფიო ჭრელაშვილი, ხომ მათთან იყო, საპატიო ნიშნის ორდენით დააჯილდოვეს. ოჰ, რამდენ რამეს მიაშობს, რომ იცოდეთ, დედა საყვარელ ძია სტალინის შესახებ...

— მეც ფრიადოსანი ვარ, — აჩქარებით ამბობს, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, პიონერი როსტომ ჯიბლაძე, — ხატვა ძალიან მიყვარს, ყრილობისათვის საჩუქრად საყვარელი ბელადების სტალინისა და ვოროშილოვის სურათები დაეხატე... მე მომავალში უსათუოდ მხატვარი უნდა გავხდე...

და ასე ერთმანეთს ცვლიან წარჩინებული მოსწავლეების გაბრწყინებული სახეები.

თითოეული მათგანი მტკიცედ ლაპარაკობს თავის მომავალზე.





### მერი ალაშია

ღამეა უმთვარო, ბნელი, პირქუში. ცაზე არცერთი ვარსკლავი. ქვეყანას თითქმის უკუნეთში ჩასძინებია. არსად ჩქამი, არსად ხმაური. მხოლოდ მატარებლის ქშენა ისმის ამ მყუდროებაში.

უცარიე, ბუნების წიაღში რალაც აელვარდა, რალაც აელვდა, ათრთოლდა, არეშარე გაანათა. ეს მოელვარე რამ მოპრაობს, ბნელ სივრცეს მოაპობს, მოანათებს, მატარებლისაკენ მოქანებდა.

— რა არის ნეტავე?! — ამბობენ მგზავრები და ცნობისმოყვარეობით აღვნიღბი ფანჯრებს ვერ შორდებიან. კიდევ რამდენიმე წუთი და... ელვარება მატარებელს უახლოვდება.

— ხალხია, ხელში ჩირაღდნებით! — წამოიძახა ერთმა.

— არა, ასე ჩქარა ადამიანი ვერ ივლის, რალაც სხვა უნდა იყოს.

— დააკვირდით, კარგად დააკვირდით, მგონი ცხენებზე სენდახ.

— ცხენოსნებია, ცხენოსნები ჩირაღდნებით!

— ნეტავე ვინ არიან, სიით მიდიან?!

მგზავრები ფანჯარასთან იდგნენ, ბნელ სივრცეში კი, თითქოს ქვესკნელიდან მუხე ამოხეთქაო, ჩირაღდნები ელავდა.

მატარებელი მიჭრის, მხედრები მას მისდევენ კვალდაკვალ. აი წამოეწიენ კიდევ, და ჰაერი შეარხია მუქქარე ხმა:

— დელეგატებს ჩვენს სალაში! ვაშა საქართველოს მოწინავე ადამიანებს! — იშოდა ხმები.

იშვითი, ულამაზესი შეხედრა ამ შუალამისას, უჩვეულო განცდები, უდიდესი სიყვარული, — აი რა არგუუნეს აზერბეიჯანის კომუნურნიებმა ჩვენს დელეგატებს. საღვურზე ჩვენები ჩამოვიდნენ და მგზნებარე სიტყვებით მათ მაღლობა გადაუხადეს. მატარებელმა გზა გაანაგროა.

აზერბეიჯანი უჟან დარჩა, მატარებელი უკვე საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების წიაღშია. კიდევ რამდენიმე ხანი — და ტფილისიც მოჩანს.

ყველანი აღფრთოვანებული გამოიციქირებიან ფანჯრებიდან, მოზრდილებიც ზავშურ ალტაცებას იჩენენ, იციან თუ არა სიმღერა, მაინც მღერიან.

და აი, გამოჩნდა საღვურიც, ხალხი შეინძრა, მუსიკა ახმაურდა. რამდენიმე წუთში ორატულმაველი ნელი სვლით და ძლიერი ხენეშით გაჩერდა.

დელეგატები რიგრიგად გამოდიან ორდენებით მკერდმშვენებულნი.

გადმოვიდა ყველაზე პატარა დელეგატი ეთერი გვანცილაძეც. მას დაუხვდნენ ამხანაგები, მასწავლებლებიც, მეგობრებიც, თავისიანები.

არ იცის, პირველად ვის გადაეხეიოს, ვინ გადააკოცნოს, უნდა კი ყველა სიხარულით ჩაიკრას გულში. მას ათასგვარი კითხვებით მოსვენებას არ აძლევენ პატარა გოგონები. გოგონას არ უნდა ვინმეს მოაკლოს თავისი ყურადღება, მაგრამ აქ საუბრის დრო არაა, და ისიც მოკლე პასუხით აკმაყოფილებს მათ ცნობისმოყვარეობას.

— ეთერ, რა მოგეწონა მოსკოვში ყველაზე უფრო?

— ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მეზოლიემ. დავთვალეირეთ ლენინის მუზეუმშიც, განმაცვიფრა მეტრომ. ვიყავით დიდ თეატრში და ვერ ავიწყრთ, თუ როგორ მომეწონა სცენის ფარდა. ის მშვენიერია, მრავალფეროვანი. მასზე ლამაზადაა გამოხატული რევოლუციის სხვადასხვა მომენტი, ისეთი სიმკვეთრით და სიხედალით, რომ გგონიათ უცქერით არა თქარდას, არამედ ცოცხალ, მოქმედ ადამიანებს. თქვენ გგონიათ, თითქოს აი ახლა, თქვენ თვალწინ ხდება ოქტომბრის დიდი რევოლუცია.

როდესაც თეატრში ვარ, ყოველთვის მაგონდება მოსკოვის დიდი თეატრის ის მშვენიერი ფარდა და მოგონებით ისეთ კმაყოფილებას განვიცდი, როგორსაც ვგრძნობდი მაშინ, როდესაც მას ეუმშერდი.

ბნელ ღამეში ჩირაღდნებით შეხედვრა ხომ არასოდეს დამაიწყდება!

# კვლევი



წვიმიანი საღამო იყო. ახალგაზრდა მხატვარი შინ ბრუნდებოდა. ხილზე ვაგლის დროს მან შენიშნა, რომ უკან ძალი აედევნა. მხატვარი რამდენიმეჯერ შეეცადა თავიდან მოეშორებია ეს უცნობი თანამგზავრი, მაგრამ ამაოდ. ცხოველი მიიწვია არ ეშვებოდა, ჯიუტად მისდევდა მის ნაბიჯებს და სახლამდე მიჰყვა. «ენახათ, იქნებ მეგობრად მომევილინა» — გაიფიქრა მხატვარმა და თავის ატვლივში მოათავსა, თვითონ კი დაწვა დასაძინებლად.

პირველი საგანი, რომელიც მხატვარმა დილით, გაღვიძებისთანავე დაინახა, მისი იძულებითი მეგობარი იყო. ძალი დინჯად იჯდა სკამზე და თავის ახალ პატრონს მოკრძალებით თვალეზში მისწერებოდა. მიუხედავად ცხოველის საბრალო გამოხედვისა, მხატვარმა მაინც ვერ შეძლო ზიზღისკრძობის შეკავება და მართლაც, მის წინ იყო ყველაზე უფრო საზიზღარი, მახინჯი, ბანჯგვლიანი ძალი, როგორის წარმოდგენაც კი შეეძლო ადამიანს, გამხდარი, უსატური, ალაგალაგ გაჭუტული და თანაც ცალითვალა. მხატვარი სწრაფად წამოხტა და გაეჭანა კარების გასაღებად, რომ რაც შეიძლება მალე განათავისუფლებულიყო ამ უსიამოვნო სტუმრს საგან. კარი გაიღო და მობრუნდა, მაგრამ ცხოველის თვალი, რომელშიც სასოწარკვეთილება ზამღვარიყო, მას ისე ნაღვლიანი და მივედრებელი ეჩვენა, რომ ახალგაზრდა კაცი გაშეშდა... ვაზრა... სიბრალოებით გული შეეკუმბა და თავისი გადაწყვეტილება მწრაფლ უკუაგდო. — «კარგი, თქვა მან, დარჩი. დღეიდან შენ გერქმევა კოკლესი»<sup>1</sup>.

ორი წელი გაატარეს მათ ერთად. კოკლესი თავისუფალი საამდლობელს უცვლელი ერთგულობით იხიდა, პატრონიც ნებას აძლევდა ძარღს ჰყვარებ-

ბოდა იგი. ასე მეგობრულად და ერთმანეთის თანაგრძნობაში ცხოვრობდნენ ისინი, მაგრამ კოკლესსაც ეწვია ავადმყოფობა, რომლისაგანაც არ იკურნებოდა. პატრონმა არ ინდომა ეურებოდა მისი ხანგრძლივი ტანჯვისა და ავონიისათვის<sup>2</sup> და გადაწყვიტა მისი თავიდან მოშორება.

და აი, ერთ ზნელ საღამოს მხატვარმა კოკლესი წაიყვანა იმ ხილზე, სადაც იგი მას ამ ორი წლის წინათ შეხვდა პირველად. აქ მხატვარი უცბად დასწვდა აცახცახებულ ცხოველს და თვალის დახამხამებაში ხილდან მდინ. რეში გადაისროლა. კოკლესს არც კი დაუყვენსია. ღამის წყვედიღამი გაისმა მხრლოდ წყალში ჩაგარდნის კრუ ხმაური. ახალგაზრდა კაცი, ოღანე დარცხენილი თავის ნამოქმედართ, ხილის მოაჯირს გადაეყრდნო, რომ დაენახა რა ხდებოდა იქ, ქვეით, წყლის სიღრმეში. სწორედ ამ დროს ქარმა დაბერა, მხატვარს ქული მოხადა და მდინარის ტალღებისაკენ გააჭრა. ქულის დაკარგვით უკმაყოფილო და დაღონებული მხატვარი შინ დაბრუნდა. მოსვლისთანავე დაწვა და დაძინა.

ერთი საათიც არ გასულიყო, რომ მხატვარი კარებზე ფეხქუნმა გამოაღვიძა. განცვიფრებული წამოიქრა და კარი გაიღო. კარის ზღურბლიდან კოკლესს ირგვა. თე ვილად დაისისლიანებული ჰქონდა, ცი-დელი მიჰყრდნობოდა და კბილეში პატრონის ქული ეჭირა. წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. ამ წუთში, მიუხედავად მისი საზარელი შესახედაობისა, იგი მაინც უსაზღვროდ ღამაზი იყო. მხატვარმა ქული ჩამოართვა და სიყვარულით მოეხვია მას. კოკლესმა უკანასკნელად ერთხელ კიდევ შეხედა თავის პატრონს, ერთი ამოიგმინა საცოდავად და უსულოდ დაეცა მის ფეხებთან.

<sup>1</sup>) კოკლესი — ე. ი. ცალითვალა, ზედმეტი სახელი სახელგანთქმული რომელი მემარისა, რომელმაც ცალი თვალი ბრძოლაში დაკარგა.

<sup>2</sup>) ავონია — სასიკეთო ტანჯვა.

თარგმანილი ფრანგულიდან ს. ბედუჩიძის მიერ



# იქ, სადაც მეფობს კაპიტალი



## შ. გვინჩიძე

კაპიტალის ქვეყნებში — დასავლეთით და აღმოსავლეთით — პროლეტარიატი და მშრომელები ებრძვიან თავის მჩაგვრელებს. ფაშისტები გრძნობენ, რომ დღითიდღე ახლოვდება მათი აღსასრული და ამიტომ ბრძოლის არავეითარ საშუალებას არ ერიდებიან — საშინელი თეთრი ტერორი მძვინვარებს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქით.

გერმანიის საპრობლეტარიატში გამოიწვედილი არიან პროლეტარული რევოლუციის საუკეთესო მებრძოლები: გერმანიის პროლეტარიატის ბელადი ერნესტ ტელმანი, უშიშარი უნგრელი რევოლუციონერი მატეას რაკოში და მრავალი სხვა.

ფაშისტი ჯალათებუ არ ზოგავენ არავის, მათი მხეტვარი თეთრი ტერორი მიმართულია არა მარტო რევოლუციური მუშების, კომუნისტებისა და კომკავშირელების წინააღმდეგ, არამედ ბავშვების — პიონერებისა და მუშების შვილების წინააღმდეგაც.

შარშენ ესპანეთის პარლამენტის დეპუტტმა მარკო მირანდომ შემოიარა ასტურიის რაიონები, სადაც 1934 წლის ოქტომბერში წარმოებდა მემალაროელთა გმირული აჯანყება. მირანდომ თავის მოხსენებებში ბარათში ჩაწერა ისეთი საშინელი ამბები, რომ აღაშინებს ყოველწელი დაუღლის სხეულში. აი ერთი ნაწყვეტი აქ მოხსენებთი ბარათიდან:

„ალვარესას სახლის მახლობლად, სასაფლაოსთან იყო მანუელ ლონსოს ერთი პატარა სახლი, რომელშიაც ცხოვრობდნენ გარდა თვით ალონსოსი, აგრეთვე მისი ცოლი და ოთხი ვაჟი: ფილიპე 17 წლის, ბატიკა 15 წლის, გაბინო 12 წლის და აღფერდა 8 წლის. 14 ოქტომბერს, დღის 9 საათზე, ორი უმცროსი ვაჟი გამოვიდა: სახლიდან წყლის ასალეზად მახლობელ შადრევიანიდან. ბავშვებმა შეცრად შეაშინეს ჟანდარმების რაზმი და შეეცადნენ სახლისკენ ვაჭკვეით თავი დაეხრათ, მაგრამ ჟანდარმებმა ისინი დაიჭირეს. გასაზა თოვის ტკაცანი და ორთავე ბიჭუნა იქვე მოკლეს.“

თოვის ხმაზე სახლიდან გამოვივიდნენ ოჯახის სხვა წევრები. ჟანდარმებმა ისინიც განგმირეს (ყვიით: მოკლეს მამა და ორი უფროსი ვაჟი, დედა კი მძიმედ დაჭრეს ფეხში“.

მირანდოს მიერ მოყვანილი ფაქტი ერთი მრავალთავანია. მთავრობის ჯარების მიერ მარტო ოვიედოს მიდამოებში მოკლულია 50 ბავშვი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქალაქ ტოლუდოს (ესპანეთი) საპრობლეტარიატში ჯალათებმა დაახრჩვეს ხუთი დატუსალებული ბავშვი.

ახლა მო. უსმინოთ ჩვენი ქვეყნის ცნობილ მწერალს ილია ერენბურგს, რომელმაც წელს იმგზავრა ესპანეთში და ინახულა ოვიედო — ეს ესპანეთის პროლეტარიატის გმირული ბრძოლების ადგილი.

ოვიედოში ილია ერენბურგს წერილი გადასცეს ოვიედოს პიონერებმა. აი რა წერია ამ წერილში: „ო. იედო, 1936 წლის 22 აპრილი.“

ოვიედოს წითელი პიონერები ულოცავენ პირველხისობას დატოთა კავშირის ახხანაგებს.

ახხანაგებო, ჩვენ ვეშადლებთ მეორე ბრძოლისათვის. იგი მალე დაიწყება, ჩვენ შეუბოვრად და მამაცად ვიბრძოლებთ ესპანეთის სატოკობისათვის. ასტურიის წითელი პიონერები მხარში ამოუდგებიან მებრძოლებს, ამისათვის მზად ვართ, ახხანაგებო. ჩვენთან, ასტურიაში, ბიგრია წერაკითხვის უცოდინარი, ვინაიდან არ არას სკოლები. ჩვენ გვინდა, რომ გვჭადდეს წათელი სკოლები, სასადილოები და სკოლის კოლონიები, ჩვენ არ გყსურს ბერების სკოლებში სიარული. ჩვენ არ გვინდა სახლში ვიშმშოლოთ, აიტომ ჩვენ გვინდა ჩვენს მამებს ჭკონდეთ საშუალო, მათ კრეს საშუაო ახლა ძალიან ცოტა აქვთ.

აქ ბლოზადაა ობლები, ვინაიდან მათი მამები მოკლეს ლეგიონერებმა და „მავრებმა“. ჩვენ შურს ვიძიებთ“.

მათ ხელი მოაწერეს ქვევით — რუხი ქალაღლის ნაღლეზე. ხელი მოაწერეს ოვიედოს ვაჟებმა და გოგონებმა“.

გადახვედით ახლა გერმანიის პიონერებს. ზოგიერთ მითვანს აქვს რადიო, რომლითაც ხშირად უსმენენ მოსკოვს, თუმცა ეს სასტიკად აკრძალულია. უსმენენ მოსკოვს და ძალიონე, სიმხნევე ემატებთო ჯალათებთან საბრძოლველად.

კატორღული ცხოვრებაა გერმანიისში. ქალაქის ქუჩებში ასობით დადიან უმუშევრები. უმუშევარია 12 წლის ჰანსის მამაც. თვით ჰანსი ობოლთა თავშესაფარში იყო მთელი ორი წელიწადი, ვინაიდან მამისი საპრობლეტარიატში იჯდა, დედა კი, მამის დატუსაღების შემდეგ, დაავადმყოფდა და გარდაი-



ცვალა შიშვილისაგან. მამა იმისათვის იყო დაპატიმრებული, რომ იგი ესწარებოდა მეზობელ ქალს, რომლის ქმარი საკონცენტრაციო ბანაკში იყო.

„მე მინდა იცოდეთ თქვენ, — წერს პატარა ჰანსი, — თუ რა საშიფლია გერმანიაში ცხოვრება. ჩვენი სამკლავია ხელო პური და კარტოფილი, სწირად ესეც არაა საქარისად. სახლში ცივა, რადგან ფული არა გვაქვს ნაშვირი ვეიდილოთ“.

სკოლაში ჰანსი არ ლებულობს საუზმეს, რომელიც 15 პენინგი ღირს, უმუშევრის შვილს კი, აბა, ვინ მისცა ფული.

დადის ჰანსი უპალტოოდ, მასი ფეხსაცმელი საშინლად დაფეხთილია, მას ფეხები უსველდება, იგი ხშირად ცივდება და ავადმყოფობს, რის გამოც აკლდება მეცადინეობას. „ჩვენი მასწავლებელი, — განაგრძობს ჰანსი, — ფაშისტია, მან იცის, რომ მამაჩემი საპრობილეში იჯდა, ამიტომ მე ყველაზე ხშირად მუჯის, მცემს სახაზავით და არასოდეს სახელს არ შეძახს. იგი ფიქრობს, რომ მე მამის კვალს გავყევი და ამიტომ ჩემი აღზრდა, მისი აზრით, მხოლოდ ჯობის საშუალებით შეიძლება. მამაჩემი მაგარი კაცია, კარგი ადამიანია, იგი ამბობს, რომ მალე ჩვენ გავსწორდებით არა მარტო მასწავლებელს, არამედ ყველა ფაშისტს.“

მე ვიბრძოლებ, — ამთარებს ჰანსი, ვიბრძოლებ მამასთან ერთად იმისათვის, რომ გერმანია მალე საბჭოთა ქვეყნად გადაიქცეს“.

ამერიკაში ამჟამად 200 ათასი უპატრონო ბავშვია. თითქმის ყველას ჰყავს მშობლები, მაგრამ ბავშვებმა მაინც უპატრონოა, რადგან მშობლები უშუფერება არიან, მშობლებს არ შეუძლიათ გამოკვებონ თავის შვილები და ბედის ანაბრად უშვებენ მათ. ბავშვები დახეტიალობენ ერთი ქალაქიდან მეორეში. ზოგი ფეხით დადის, უფრო გამბედავები მაჯარებულს შემოუჯდებიან ხოლმე, მაგრამ ხშირად მატარებლის ბორბლის მსხვერპლი ხდებიან ისინი.

ბევრი მათგანი სიხარულით დაბრუნდებოდა შინ, მაგრამ რისთვის? პატარა მაწინწალა რუდის დედამ მისწერა:—

„უაბრიკა დაიურა, მე ვერ ვშოკლობ სამუშაოს, მამაც უმუშევარია, შენს ღას მარგალიტასაც არაფერი შემოაქვს. ნუ დაბრუნდები შინ. დარჩი იქ, სადაც ხარ“.

მანჯური ია, ვიდრე იგი არ დაიკავეს იაპონელებმა უმდიდრესი ქვეყანა იყო, ამჟამად კი სილატაკისა და

ტანჯვის ქვეყანაა. სასოწარკვეთილებამდე მისული გლეხობა ყიდის თავის ბავშვებს. მათს მშობლებს კაპიტალისტები. მუკლდენისა და ხარბინის ქუჩებში და მანჯოუ-გოს დედაქალაქ ჩინჩუნში ათასობით მათხოვრობენ ბავშვები, მოხუცები და ქალები. ისინი ემუდარებიან გამკლდებს: „გვიშველეთ, შიშვილოთ გვედებით, ჩვენ აღარ გავგაჩნია ოჯახი, სახლკარი“. ხშირად ასეთი მუდარება გაისმის: „იციდეთ ეს ბავშვი. მეტი აღარაფერი გვაქვს გასაყიდი“.

აქ მოკლეთ ჩვენ გიამბოთ, თუ როგორ წამებასა და გაკრივებაში ცხოვრობენ ბავშვები ესპანეთში, გერმანიაში, ამერიკაში, მანჯურიაში. სხვა ქვეყნებშიც არ ჩამორჩებიან მათ ამ საშინელებაში. ავსტრიაში, იტალიაში, ჩინეთში, იაპონიაში — ყველგან, სადაც კი მეფობს კაპიტალი, იტანჯება ადამიანი, იტანჯებიან უსუსური ბავშვებიც.



ამერიკელ უმუშევართა მშვიერი ბავშვები სასტუმროს უკან კარებთან ელოდებიან ლუკმა პურს.

# მკითხაუდი



(ზღაპარი, გაგონილი 1873 წ. ნინო შარაშიძისაგან, ჩაწერლი იასონ ნიკოლაიშვილის მიერ)

აღმოსავლეთის სახელმწიფოს ერთ ქალაქში ერთი დიდი მოედანი იყო. ამ ქოედანზე სკამები ეწყო. სკამებზე ისხდნენ მკითხაუდები. მათთან სახელმწიფოს ყოველი კუთხიდან მოდიოდა ქალი და კაცი და თავისი ჭირ-ვარამის შესახებ რჩევა-დარიგებებს სთხოვდნენ.

ამ ქალაქში ცხოვრობდა ერთი ლატაკი, მეტად გაჭირვებული კაცი. ცოლი მუდამ ებუზღუნებოდა ქმარს:

— შე ვლახაკო, შე ოხერო! ცოლშვილს რას გვიღებოდი, თუ მისი მოვლა-პატრონობის თავი არა გქონდა! რამდენი ხანია ცხელი საქმელი არ გვღარსებია, სულ ქალი და ქალი! ახლა ქალიც გამოილია და ამალამ მშვიერი უნდა დავწყვიტო. წადი, შე ოხერო, მოედანზე, მიინც არაფერს აკეთებ, მკითხაუდების სკამზე დაეჯექ, ვინმელო რომელიმე ბრიყვი შენთანაც მოვიდეს საკითხავად.

დაუჯერა ქმარმა ცოლს, მოედანზე წავიდა და ერთ უქანასკნელ სკამს იკით ჩამოაჯდა.

დიდ ხანს არ გაუვლია, მეუღლანზე გამოჩნდა ჯგუფი, და ეს ჯგუფი პირდაპირ ამ ჩვენი ახალი მკითხაუდისაკენ გამოემართა. ის ნი მდიდარი ვაჭრები იყვნენ, ინდოეთში ნაყიდი ძვირფასი საქონლით დატვირთულ აქლემებს მოკრეკებოდნენ. ახლომახლო მიდამოებში სადღაც აქლემები გაბნეოდათ, თუმცა ბევრი ეძებნათ, მაგრამ ვერ ეპოვნათ და ახლა ამას სთხოვდნენ ესწავლებინა, თუ სად უნდა ეძებნათ და იარგული აქლემები. თუ იპოვნინდნენ, დიდ საჩუქარს ჰპირდებოდნენ. მკითხაუმა უთხრა:

— ხედავთ იმ გზას? აი, იმ გზას გაჰყვიით, კარგა-

ხანს შემდეგ მარცხნივ გზა შეგხედებათ და უნდა გადაუხვიოთ, შემდეგ მარჯვნივ გადაუხვიეთ, მერმე კიდევ მარცხნივ, — მერე მარჯვნივ. ამ გზას ბოლოში მინდორს ნახავთ და სწორედ იმ მინდორში არიან თქვენი აქლემები.

დადგნენ ვაჭრები ნაჩვენებ გზას. ჯერ მარცხნივ გადაუხვიეს, როგორც მკითხაუმა ასწავლა, შემდეგ მარჯვნივ, მერმე მარცხნივ, მერმე — კიდევ მარჯვნივ, მერმე — მარჯვნივ და გავიდნენ კომინდორზე, სადაც მათი აქლემები ბალახს სძოვდნენ.

გახარებული ვაჭრები უკან დაბრუნდნენ, მკითხაუგი მოძებნეს, დიდი მადლობა უთხრს და უხვადაც დააჯილდოვეს.

გავიდა ხანი. მეფეს მეტად ძვირფასი მარგალიტი მოჰპარეს. ქურდი ეძებეს, ვერ იპოვნეს. დიბარეს ჩვენი მკითხაუგი მფესთან სასახლეში. ისე თქვენი მტერი ჩავარდა ქარში, როგორც ჩვენი საწყალი მკითხაუგი გასასციდელში ჩავარდა. რა თქმა უნდა, სასახლეში წასვლა დიდაც რომ არ უნდა, მაგრამ მეფის ბრძახებას სად წაუფა? არ წავა — ძალით წააიბრევენ. ისევე ნებაყოლილობით წასვლა არჩია და მეორე დღეს სასახლეში გამოცხადდა. შეიყვანეს მიფესთან. მიფემ დაკარგული მარგალიტის ამბავი უბრძანა და გამოუცხადა: თუ სამ დღეში არ გიპოვინა, თავს მოგჭრიან.

გამობრუნდა შინ ჩვენი საწყალი მკითხაუგი მწარედ დაღონებული. შინ რომ მივიდა, ცოლს ერთი ყოვა დაუწვია:

— შე ასეთო! შენი წყალობით სამი დღის შემდეგ თავი უნდა მომპარან! აბა რა ვიცი მე, ვინ ეშმაკმა მოიპარა მარგალიტი, სად უნდა ეიპოვო?

ჩაიკეტა ოთახის კარები და მწარედ დაღონებული მაგიდას მიუჯდა. რომ დაღამდა, ქურდებმა ერთი თავისი ამხანაგი მკითხავის სახლში გამოგზავნეს იმის გასაკებად, თუ რას შერებოდა ის.

—ეჰ, ერთმა უკვე გაიარა!—ოხვრით წარმოთქვა მკითხავმა. ქურდი ამხანაგებთან გაიქცა და შეშფოთებით უთხრა:

—როგორც კი ფანჯარასთან გავიარე, მკითხავმა წამოიძახა:

—ე! ერთმა უკვე გაიარა!  
მკითხავმა ღღის შესახებ თქვა: ერთმა ღღემ უკვე გაიარაო, ქურდს კი ეგონა, რომ მის შესახებ იყო ნათქვამი: ერთმა ქურდმა უკვე გაიარა.

ქურდებმა მეორე საღამოს მეორე ამხანაგი გამოგზავნეს. მკითხავი ისევ იმ მაგიდასთან იჯდა დაღონებული. რომ დაღამდა, მკითხავმა მწარედ ამოიკვნესა:

—მეორემაც უკვე გაიარაო!

ქურდი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა ამხანაგებთან და უთხრა: ფანჯარას რომ მიეუახლოვდი, მკითხავმა დაიძახა: მეორემაც გაიარაო. კუდადა ჩენი საქმე, მკითხავმა ალბათ ყველაფერი იცისო.

მესამე ღამეს მესამე ქურდი წავიდა ამხანაგების ნათქვამის შესამოწმებლად. რომ დაღამდა, მკითხავმა გაშწარებით წამოიძახა: „მესამემაც გაიარა!“

ქურდი დარწმუნდა, რომ მკითხავმა ყველაფერი იცოდა. საჩქაროდ მოიყვანა ამხანაგები, მკითხავს ფეხებში ჩაუვარდნენ, დანაშაულში გამოუტყდნენ და ევედრებოდნენ სიკვდილისაგან დახანას. სანაცვლოდ ყველაფერს პირადებოდნენ, რასაც კი ის მათ მოსთხოვდა.

მკითხავმა უთხრა:

—მე თქვენი არაფერი მინდა, არც თქვენი სიკვდილი შემძინებს რასმეს. თქვენ მხოლოდ ისე მოიქცით, როგორც მე დაგარიგოთ: ეს მარგალიტი მეფის ბატონს ქარაგნის რომელიმე ბატონს ჩააყლაპინეთ და ნიშნად მხარი მასტეხეთ.

გახარებულმა ქურდებმა, როგორც მკითხავმა დაარიგა, იმავე ღამეს ჩააყლაპინეს მეფის ბატონს მარგალიტი და მხარი მოსტეხეს.

მეორე დღეს ქალაქში დიდი ამბავი იყო. დღეს უნდა მოეჭრათ თავი მკითხავისათვის, თუ კი დაკარგულ მარგალიტს ვერ იპოვნიდა.

დანიშნულ დროს მკითხავი მეფის სასახლეში გამოცხადდა და მოითხოვა მის წინ „გამოეტარებინათ“ მეფის ყველა ჯოგი.



ჩამოატარეს მკითხავის წინ აქლემების ქარაგნი, შემდეგ ცხენების ჯოგები, ჯორების, ვირების, ხარების, ძროხების, ცხვრების, თხების, ღორების... მაგრამ მკითხავი უარის ნიშნად ყველაზე ხელს უქნევდა. შემდეგ ჩამოატარეს ქათმები, ინდურები, იხები, ბატები... ბატების ქარაგნი მკითხავმა შეაჩერებინა. კარგა დაკვირდა.

—ამას ერთი აკლია, რატომ ისიც არ მოგიყვანიათ?

—ერთი მხარმოტეხილია, ძლივს დალაშლავს და იმიტომ არ წამოგიყვანეთო, —უპასუხეს.

—ისიც მოიყვანეთ! —ბრძანა მკითხავმა.

მოიყვანეს ფრთამოტეხილი ბატიც. მკითხავის ბრძანებით ეს ბატი დაჰკლეს და კუვიდან მარგალიტი ამოუღეს. ხალხმა სიხარულით ყვირა დასცა. მეფე მკითხავს გადაეხვია და ვადაკონა. მეფემ მკითხავი დიდად დაასაწუქრა, თავის სასახლის ახლოს მშენიერი სახლი აუშენა და ხშირად დადიოდა მასთან სანახავად.

ერთხელ მეფე მკითხავთან სანახავად მიდიოდა. ეზოში რომ შევიდა, წინ კალია ამოუხტა. მეფემ დასაქურად ხელი წაატანა, მაგრამ ვერ დაიჭირა. კალია რომ მესამეჯერ ამოხტა, მეფემ დაიჭირა. სი





მკითხავეთან წაიყვანა. მკითხავე მეფეს ეზოში მიეგება.  
— აბა, ჩემო კარგო შეგობარო, გამოიციან, ხელში  
რა მიქვს. — ერთხელ გადავუხტი, მეორედაც გადა-  
ვუხტი, მესამედ კი ველარ გადავუხტი.

მეფეს ეგონა, კალიას შესახებ მეუბნებო, მკით-  
ხავს კი სულ სხვა ჰქონდა სახეში: „ერთხელ გადა-  
ვუხტიო“, ე. ი. ერთხელ ვაჭრებს აქლემები ვაპოვნი-  
ნეთ. „მეორედ გადავუხტი“, ე. ი. მეფის დაკარგული  
მარგალიტი ამოვანიწნეთ. „მესამედ კი ველარ გადავუხ-  
ტი“, ე. ი. ახლა კი ველარ ამოვიციანთ.

მეფე მეტისმეტად განკვირვებული დარჩა, მკით-  
ხავს გადაეხვია და უთხრა:

— რაც გინდა, მთხოვე, ყველაფერს აგაქრებებო  
— დიდებული მეფე! თქვენი წყალბრძანა ყველამდე  
სასე ვარ. სხვას არაფერს ვთხოვ, გარდა ერთისა;  
გთხოვთ მკითხობისგან გაათავისუფლოთ და ამის  
შემდეგ აღარაფერი მკითხოთ.

მეფემ თხოვნა აღსრულა, მის შემდეგ აღარაფერი  
უკითხავს, და ბოლომდე მასთან კეთილ-განწყობილე-  
ბაში იყო. მკითხავეც ღრმა მოხუცეებულბაში  
უჭირველად და ბედნიერად ცხოვრობდა.



## როგორ წარმოიშვა უდაბნო ყაჩაყები?

დღესაც საბოლოოდ გამოურკვეველია, თუ საიდან  
და როგორ წარმოიშვა ყარაყუმის უხარმანხარი უდაბ-  
ნო, რომლის შესწავლისათვისაც ამ ორიოდე წლის  
წინათ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის თაოს-  
ნობით მასობრივი ავტოგადაარბენა მოეწყო.

ბევრ მეცნიერს ეგონა და ზოგიერის ახლაც ჰგო-  
ნა, რომ ეს უდაბნო წარმოიშვა. უძველეს დროს  
არსებულა ზღვის ამოშრობით. მეცნიერთა ერთ  
ჯგუფს კი უფრო სწორად მიანიხა ყარაყუმის წარ-  
მოშობის ასეთი მხეხა. ეს უდაბნო თითქოს წარმო-  
იშვა ავღანისტანიდან ქარის მიერ წამოღებული  
სილვებით.

ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი  
ე. ობრუტევი, ჯერ კიდევ 1888 წელს გამოთქამდა  
აზრს, ყარაყუმის უდაბნო უთუოდ მდინარე ამურ-  
დარიაა მოქმედებით წარმოიშვა. აქვე უნდა შევ-  
ნიშნათ, რომ იხიარებს რა ობრუტევის ზემოლ-  
ნი შნულ მოსასზრებას ყარაყუმის წარმოშობის შესა-  
ხებ, სწავლული მ. ი. ლიჩკოვი ამბობს: ყარაყუმის  
უდაბნო პამირის მწვერვალებთან მდინარე ამურ-  
დარიას მიერ წამოღებული სილვის გროვააო.

სწორედ ასეთ დასკვნამდის მივიდა საბჭოთა  
კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია, რო-  
მელმაც, როგორც აღვნიშნეთ, გრანდიოზული გა-  
დაარბენა მოაწყო ყარაყუმის გაუვალ უდაბნოებში.

როგორ მიკედნენ ამ დასკვნამდის ექსპედიციის  
მონაწილენი?

მათ ყარაყუმის უდაბნოს სხვადასხვა ადგილი-  
დან აიღეს 150 ნიმუში, ჩაატარეს სითანადო ანა-

ლიზები, გამოკვლევა, შესწავლა და დადასტურეს  
რომ უდაბნო ნამდვილად მდინარის მოქმედებით  
არის წარმოშობილი. საფულისხმო ის არის, რომ  
როცა ეს 150 ნიმუში შეადარეს მდინარე ამურ-  
დარიას სილვის ნიმუშებს, აღმოჩნდა, რომ უდაბნო-  
სა და მდინარის სილვებს შორის მკუდრო ნაივსა-  
ობრიობა არსებობს.

მართალია, ყარაყუმის უდაბნოს უხარმანხარი  
სივრცე ერთგვარად ეწინააღმდეგება რუსი მეცნი-  
ერების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, მაგრამ თუ  
გავითვალისწინებთ მდინარე ამურ-დარიას ათას-  
წლოვან მიმართულებას, ძველ კალაპოტებს, მდინარ-  
ის მიერ მოტახილი სილვის რაოდენობას, მაშინ  
აშკარა გახდება ჩვენთვის, რომ რუსი მეცნიერების  
აზრი არ არის შემდარი და სინამდვილეს უახლო-  
ვდება. ამ მეცნიერთა მიერ გამოთქმულ მისაზრებას  
ამართლებს კიდევ ის გარემოება, რომ, თანახმად  
უძველესი თქმულებისა და ლეგენდებისა, მდინარე  
ამურ-დარია კასპიის ზღვას უგრთდებოდა.

ზემოაღნიშნულის მიხედვით მეცნიერნი იმ დას-  
კვნამდის მიდიან, რომ ყარაყუმის უდაბნო ოდესღაც  
ამურ-დარიის მოქმედების უხარმანხარ სამუთუხედს  
წარმოადგენდა და ამ ზღვებში ამურ-დარია, შუა  
აზიის ეს უხარმანხარი მდინარე, დახეტილობდა ხან  
ერთს, ხან მეორე მხარეს და საბოლოოდ მრავალი  
ფიზიკური და გეოლოგიური მიზეზის გამო ერთხელ  
და სამუდამოდ შეიკვალა მიმართულება და კას-  
პიის ზღვის ნაცვლად არალის ზღვას შეუერთდა.





# განუხებელი მთაძი

## ბ. კალანდაძე.

ღათბა, ხამთრის ბუნაგებში  
 გაელვისა ნადირს;  
 თოვლი, მთებზე ჩამომდნარი,  
 ცაში ორთქლად აღის.  
 კლდიდან ღელე მოჩუხჩუხე  
 ფოთლებს შხეფებს აყრის,  
 გზა-გზა ტოტებგადმოყრილი  
 ხეებია არყის.  
 კლდეზე გასულ სუროს ფოთლებს  
 უსისინებს ქარი,  
 ამწვანებულ მთის ფერდობება  
 შეჭფენია ცხვარი.  
 მგზავრი მიდის ხეე-ხეე დაბლა  
 და ტყბილი ხმა ესმის,

ეს სიხარულს მღერის ალბათ  
 მთას გასული მწყემსი.  
 საღლაც ქედზე შემომდგარი  
 ხარირემი ბლავის,  
 პირდაღებულ ნაბრალეებზე  
 გადაიფრენს ყვავი.  
 ასე მიდის დღე, და დაბლა,  
 ხეეში ნისლი დადის,  
 დაკბილული მთები დგანან  
 ამართული ცამდის.  
 ღათბა, ხამთრის ბუნაგებში  
 გაელვისა ნადირს;  
 თოვლი, მთებზე ჩამომდნარი,  
 ცაში ორთქლად აღის.

## ბავშვების საყვარელი თეატრი

### მ. ქურდიანი

აგერ ზის პატარა მაყურებელი და დამბული ყუ-  
 რადლებით ადენებს თვალს სპექტაკლს. უცბათ შეი-  
 კრავს კოპებს, თვალები ცრემლებით ევსება, მუკებს  
 შეჟუმშავს და მხად არის გადახტეს სცენაზე და მიე-  
 შეგლოს საბრალო გიჟორს, რომელსაც სცემენ, აწა-  
 მებენ საძაგელი „ხაზინები“.

ჰუ, რა ცუდი დრო იყო. ბავშვს სწავლა უნ-  
 დოდა და არ ასწავლიდნენ, კითხვა უნდოდა და არ  
 აკითხებდნენ!

მეორე დღეს ამავე სცენაზე პატარა მაყურებელი  
 ხედავს, როგორ ატანენ ზურაბს სურამის ციხის კე-  
 დელში, როგორ სცემენ ყმებს ბატონები. სუოათები  
 ერთი მეორეს ცვლას, და ჩენი მაყურებლებიც ხან  
 ცრემლით სავსე თვალით და ხან კიდევ მხიარული  
 ბავშვური სიცილით გაიყურებიან სცენისაკენ.

ეს თეატრი თავისი მაყურებლებივით ნორჩია. იგი  
 სულ 7 წელიწადია რაც არსებობს. ამ ხნის განმავ-  
 ლობაში მან საკმაო ავტორიტეტი მოიპოვა მაყურე-  
 ბელ ბავშვებს შორის და მათი საყვარელი, სანა-  
 ტრელი და მუდამ მოუწყენელი თეატრი გახდა.



თეატრის ხელმძღვანელი ალ. თაყაიშვილი



საბჭოთა საქართველო  
ქვეყნის ავტორიტეტული გაზეთი

ჩვენი პარტია და მთავრობა დიდი მხრუნველობით ეკიდებიან ბავშვებს, დიდებულ პირობებს უწყნიან მათ თავისი ნიჭისა და უნარის გამოყენებისა და გაფურჩქვნისათვის. პარტიისა და მთავრობის უშუალო დახმარებით დაარსდა ამ 7 წლის წინათ მოზარდ მასწავლებელთა თეატრიც, რომელსაც დაარსების დღიდანვე ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ნიჭიერი რეჟისორი ალ. თაყაიშვილი.

პირველ ხანებში თეატრის დადგმებს ბევრი ნაკლი ახასიათებდა, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო იმით, რომ თეატრს არ ჰქონდა კარგი შენობა, ხელს უშლიდა სცენის სიახლოვე, ორგანიზებულ მასწავლებელთა სიმცირე და სხვა.

მაგრამ თეატრი თანდათანობით მოღონიერდა და, მტკიცე კოლექტივის ერთსულოვანი მუშაობით, ღირსშესანიშნავი დადგმებით, საქმით ავტორიტეტულ მოიპოვა.

მოზარდ მასწავლებელთა თეატრის სცენაზე გაიზარდნენ ისეთი ნიჭიერი მსახიობები, როგორიც არიან: თ. თვალთაშვილი, გ. აბაშიძე, გ. კუპრაშვილი, ერგნელი, ს. გამრქეკელი, ნ. მიქაშაიძე, არ. დონაური, ელ. ციხისთავი, ა. დვინიაშვილი, ა. კაჭკაჭიშვილი.

ამვე სცენაზე მუშაობს დამსახურებული მსახიობი ნიკო გვარამია, რომელსაც თეატრალური მოღვაწეობის 35 წლის ისტორია აქვს. იგი თავგანწირვით ემსახურება მოზარდ მასწავლებელთა საქმეს, ის ბავშვებსაც ძლიერ უყვართ. გვარამიის სურვილია ბოლომდე შერჩეს მოზარდ ახალგაზრდობის კულტომსახურებეს საქმეს და სიკვდილამდე დატყვევს ბავშვების გიჟმაყ ყოფა-ცხოვრებასთან ახლო დგომით.

თანდათანობით იზრდება ორგანიზებულ მასწავლებელთა რიცხვიც: თუ მოზარდ მასწავლებელთა რიცხვი თეატრის დაარსების პირველ დღეებში 2000 ძლივს აღწევდა, დღეს უკვე 14000-მდე ავიდა, ეს კი უქვოლ იმის მაჩვენებელია, რომ თეატრი წინ მიდის და თავის მასწავლებლებს სიხარულით იზიდავს.

თეატრის ცხოვრებასთან ახლოს დგანან ღრამბ ტურგები: შ. დადიანი, ს. თვარაძე,

გ. ბააზოვი, ალ. სამსონია და გ. ნახუაიშვილი.

ამ 7 წლის განმავლობაში თეატრმა თავისი მსახიობების ხელს უწყვეტად 1000-მდე სპექტაკლი და 30-მდე პიესის დადგმა მოახერხა.

სახელდობრ დადგმული იქნა: „რობინ გუდა“, „ფრიც ბაუერი“, „ალტაელი რობინზონები“, პირველ ხანებში ყველაზე დიდი გამარჯვება ჰპოვა პიესა „რობინ გუდა“.

მას მოჰყვა: „შორეული გზით“, „კაცი შავი სათვალევით“, „სურამის ციხე“, „არსენა მარაბდელი“, „ქინკარი“ და სხვა.

კარგი დადგმებიდან ყველა მასწავლებლის ყურადღებას აბურობს პიესა „შორეული გზით“. ყოველი სპექტაკლის დროს თეატრის დაარსებამდე მოზარდი მასწავლებლები — ეს დადგმა ყველა ბავშვის ტბილი ოცნება იქცა. მას ბავშვები რამდენიმეჯერ უყურებენ და ეს ინტერესი უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ აღნიშნულ პიესაში ბავშვებიც აქტიურ როლს „თამაშობენ“. ისინი მონაწილენ არიან და მთელი დაძაბული ყურადღებით უსმენენ მას, რომ ყურადღებიდან არ გამოეპარათ მოქმედების უბრალო დეტალიც კი.

ყიასაშვილის ყოველ დაძაბებაზე, რომელიც პიესაში მთავარ როლს ასრულებს, ბავშვები ერთად იძლევიან მოიერიშე პასუხს.

მოზარდ მასწავლებელთა თეატრი მისის შუა რიცხვებში დგამს, რეჟ. ბ. გამრქეკელის ხელმძღვანელობით, ნახუაიშვილის პიესას „ნაკარქექიას“, მიმდინარე წლის სეზონის ბოლოს კი თეატრი დადგამს ეგ. ნინოშვილის რომანის მიხედვით გაკეთებულ პიესა „ჯანეს“, რომელიც ეკუთვნის ცნობილ დრამატურგს შ. დადიანს. პიესის დადგმას ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ალ. თაყაიშვილი.

მოზარდ მასწავლებელთა თეატრის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის დიად საქმეს და მოზარდ მასწავლებლებს შეაყვაროს სათეატრო ხელოვნება, რომ მათი სწრაფვა უფრო მრავალფეროვანი იყოს.





დღეს მშრომელთა ზეიმია,  
ქალაქს ვერცხლავს განთიადი,  
ეს ცხოვრება შეძლებული  
რა კარგია, რა დიადი!

შრომისა და ლხენის დროშა  
აფერადებს მწვანე მდელოს,  
და ჰიშნს უთხზავთ პირველ მაისს,  
საქებსა და სასახელოს.

აღლუშია მეტად დიდი  
ხალხი ფარავს ფართო ქუჩებს,

ერთხელ კიდევ ვაგრძნობენ  
ჩვენს სიმარეს მტერს და ურჩებს.

ვაუმარჯოს ჩვენს სიმტკიცეს,  
ვაშა მწვანედ მღიმარ მდელოს,  
ვაშა ჩვენი დროის ყვეილს  
ორდენოსან საქართველოს.

დღეს მშრომელთა ზეიმია.  
ქალაქს ვერცხლავს განთიადი,  
ეს ცხოვრება შეძლებული  
რა კარგია, რა დიადი!

მე-10 კლ. მოწ. აფ. ლოგჯანიძე



ჩაწერილია მ. მამულაშვილის მიერ

## ფოტო

ტოშვი იყო ტომით ქისტია, მებრძოლი  
რუსის შეფისა და მისი მოხელეების წინააღმდეგ.  
რუსებმა მოკლეს.

ტოშვი<sup>1)</sup> იტირა დედამა,  
— შეილო თავშაუდებარო<sup>2)</sup>,  
სიკვდილის დღემდე, მაგორო,  
სპილოო ვაუტეხარო!  
დაგხვრიტეს რუსის ტყვეებმა,  
(სხოთა მიწაში<sup>3)</sup> მდებარო,  
სად რჩება შენი ძოლები<sup>4)</sup>  
ჩემო გაზრდილო მხედარო!

## ბესო ყაზაკაული

ბესო ყაზაკაული იყო სახალხო გმირი შთაშვი  
ისევე, როგორც ბარში—არსენა მარაბდელი. იგი  
დაუძინებელი მტერი იყო რუსის შეფისა და მ-

სი დამქაშების, რისთვისაც მას ვაციშიბრება მიუ-  
საჯეს.

მოხვევთა მიერ აუარებელი ლექსი არის გამო-  
თქმული ბესოს გმირობისა და სიზამაცის შესახებ.  
აქ მოყვანილი ლექსი ყველაზე უფრო პოეტუ-  
რია მათ შორის.

ბესო ვარ ყამარაული,  
სულ არიარედ<sup>1)</sup> გაზრდილი,  
შამოვხვდი რუსის აფიცრებს,  
მწარე ვაჭმიე სადილი.  
შამოვხე გულდაუფრჩივე<sup>2)</sup>  
შეაფლრიალენ ბორკილი,  
მშვიდობით ცოლო და შეილო,  
ნუღარ ვაქე ჩემი ლოდინი.  
დათოვლა ხევის მთებზედა,  
თეთრი ააკრა სიბინი<sup>3)</sup>  
გრილია შენი სამშობლო,  
იფრო<sup>4)</sup> ცოცია ციმიბირი.

1) ტოშვი—ქისტური სახელია კაცისა

2) თავშაუდებარო—უდრეკო, მამაცო

3) მიწაში—მიწაში


4) ძოლები—ძველები

1) არიარედ—გარეთ, ბუნებასთან, ლაღად.

2) შამოვხე-გადაფრჩივე—შეოვხე დი გულაფრში.

3) სიბინი—თხელი ნისლივით მთებზე დათოვლილი.

4) იფრო—უფრო.



## ორი ყველაზე პანაწინა წიგნი

ეს ხელი ჩვეულებრივი, ნორმალური აღმზიანის ხელია. მის მარჯვენა მხარეზე არის ცნობილი იტალიელი შწერალის დანტეს „ლეთაებრივი კომედია“, გამოცემული მილანში 1878 წელს. ამ გამოცემისათვის სპეციალურად ჩამოასხეს ასოები, დაბეჭდეს 1000 ცალი წიგნი და შრიფტი მოსპეს. ეს გამოცემა სიტყვა-სიტყვით განმეორებდა დიამანტის გამოცემას, რომელიც 1869 წელს ფლორენციაში გამოვიდა.

მარცხნივ კრილოფის ივანე-არაკებია. ეს იშვიათი გამოცემა 1855 წელს დაიბეჭდა პეტერბურგში, სახელმწიფო წიგნების საბეჭდო სტამბაში. მშვენიერია ამ გამოცემის ასოები და ამასთანავე უაღრესად თვალსაჩინო.

ეს ორი პაწაწინა წიგნი ინახება მასშიმ გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში.

ბ	ნ	დ	ი	გ
ვ	რ	ა	ი	ი
რ	ი	ი	რ	ს
ქ	ა	ტ	თ	კ
ფ	ო	ე	თ	ა

ტფილისის მესამე საცდელი სკოლის VII კლასის მოწაფეს დავით ერცისთავს ძლიერ უყვარს აკაკი წერეთლის ლექსები და პოემები. ორი პოემა მან ზეპირადაც კი დაისწავლა. თუ თქვენ გინდათ გაიგოთ აკაკის რომელი პოემა იხინი, ამოხსენით ჩემი ამოცანა პადრაკის ცხენის სვლის მიხედვით.